„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

„05" „12" 2012 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა შორის

თ ბ ი ლ ი ს ი

2012

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი და ქალი ძიუდოისტები, ძიუდოს რეგიონალური ფედერაციებისათვის გამოყოფილი კვოტების შესაბამისად, წარმოდგენილი წინასწარი განაცხადების მიხედვით (კვოტები თან ერთვის – დანართი 1).

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2012 წლის 17 დეკემბრის 16.00-საათამდე, კენჭისყრა 17 დეკემბერს 17.00 საათზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში (ბელიაშვილის ქ. 5). აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში, ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე სპორტსმენები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2012 წლის 18-19 დეკემბერს ქ. თბილისში სპორტულ კომპლექს „არენა”-ს ბაზაზე (ყოფილი არმიის სპორტული კლუბის (სკა) ბაზა, უნივერსიტეტის ქ. 6).
- შეჯიბრების დასაწყისი 11.00 საათზე

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 5 წუთი (სუფთა დრო);
- დამატებითი დრო 3 წუთი - “ოქროს ქულამდე”;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60 კგ; 66 კგ; 73 კგ; 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
- შეჯიბრება ტარდება ქალთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 48 კგ; 52 კგ; 57 კგ; 63 კგ; 70 კგ; 78 კგ; +78 კგ;

აწონვა:

18 დეკემბერს სპორტულ კომპლექს „არენა”-ს ბაზაზე (უნივერსიტეტის ქ. 6),
60 კგ; 66 კგ; 73კგ; წონითი კატეგორიის ვაჟი ძიუდოისტებისათვის.
არაოფიციალური 08.00 - 08.30 საათამდე;
ოფიციალური 08.30 - 09.00 საათამდე;

19 დეკემბერს სპორტულ კომპლექს „არენა”-ს ბაზაზე (უნივერსიტეტის ქ. 6), 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ; წონითი კატეგორიის ვაჟი და ყველა წონითი კატეგორიის ქალი ძიუდოისტებისათვის.
არაოფიციალური 08.00 - 08.30 საათამდე;
ოფიციალური 08.30 - 09.00 საათამდე;

- შეჯიბრზე მონაწილეები დაიშვებიან მხოლოდ პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.
- შეჯიბრების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოვლინებულ მსაჯთა კომისრების მგზავრობის, სასტუმროს, კვებისა და კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების ხარჯებს უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 252. .82. 05;

მობ. +995 577 17. 80. 22

ელექტრონული მისამართი: **geojudo@yahoo.com**

საკონტაქტო პირი – ვლადიმერ ნუცუბიძე

<u>დანართი 1</u>

რეგიონებისათვის თითოეულ წონით კატეგორიაში გამოყოფილი კვოტები ვაჟთა შორის

№	რეგიონი	კვოტა თითოეულ წონით კატეგორიაში	კვოტა სულ 7 წონით კატეგორიაში
1.	თბილისი	4	28
2.	კახეთი	4	28
3.	იმერეთი	4	28
4.	შიდა ქართლი	4	28
5.	ქვემო ქართლი	4	28
6.	სამეგრელო - ზ/ს	2	14
7.	აჭარა	2	14
8.	მცხეთა - მთიანეთი	2	14
9.	რაჭა-ლეჩხუმი - ქ/ს	2	14
10.	აფხაზეთი	1	7
11.	სამცხე ჯავახეთი	1	7
12.	გურია	1	7
13.	ცხინვალის რეგიონი	1	7

სულ: 32 მონაწილე ; სულ: 224 მონაწილე

P.S.

- ქალთა შორის მონაწილეთა რაოდენობა ლიმიტირებული არ არის, დაშვების მინიმალური ასაკი ვაჟთა და ქალთა შორის განისაზღვრება 1995 წელში დაბადებული და უფროსი ასაკის ძიუდოისტებით.
- ფინალურ ბლოკში მწვრთნელ-სეკუნდანტის სავალდებულო ეკიპირება წარმოადგენს ოფიციალურ ჩაცმულობას (პიჯაკი, ჰალსტუხი).
- სპორტსმენთა მიერ მოპოვებული გამარჯვებები აისახება სარეიტინგო სისტემაში და სახელფასო განაწილებაში (რეიტინგების სისტემა იხილეთ ფედერაციის ვებ-გვერდზე **www.gjf.ge**).
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს როგორც პიროვნულ, ასევე რეგიონული ნაკრები გუნდის მიერ მიღწეული სრული შედეგის და წევრ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული სარეიტინგო ქულების ანულირებაზე.